პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 237 (5267)

1974 წ. 30 ნოემბერი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## რეკორდი

ლონდონი, [illegible] ადგილობრივი „კრისტალ პალასის" ფიცარნაგზე გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც თავი ისახელა მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, საბჭოთა ძალოსანმა ვ. ალექსეევმა. მან ზემძიმე წონითი კატეგორიის ძალოსნებისთვის მსოფლიო რეკორდი დაამყარა აკვრაში — 242,5 კგ. ეს ნახევარი კილოგრამით უკეთესია ალექსეევის მიერვე ამას წინათ დამყარებულ მსოფლიო რეკორდზე.

# კონგრესის სამუშაო რიტმი

საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესი „სპორტი თანამედროვე საზოგადოებაში", რომელიც ამჟამად მოსკოვში მიმდინარეობს, სამუშაო რიტმს იკრებს. 27 ნოემბრის დილით კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში ჩატარდა პლენარული სხდომა, მერე კი დაიწყო მოხსენებების განხილვა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

პირველ დღეს მთავარი ყურადღება მიექცა კონგრესის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას — ფილოსოფიას, ისტორიას და სპორტის სოციოლოგიას. პირველ მოხსენებაში პროფესორი ვ. კუმანევი ლაპარაკობდა თანამედროვე საზოგადოების კულტურაში სპორტის ადგილის შესახებ. სპორტის განვითარებაზე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის გავლენას და მის სტრუქტურას მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები ა. ვოლმა (პოლონეთი) და სპორტის სოციოლოგიის საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტმა გ. ლიუშენმა (გფრ). „სპორტი, ინტერნაციონალიზმი, ხალხთა შორის მშვიდობა და მეგობრობა" — ასე ეწოდებოდა პროფესორ ნ. პონომარიოვის მოხსენებას.

მოხსენებით გამოსულები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ სპორტი სოციალური მოვლენაა. ამიტომ მისი ყოველმხრივი და ღრმად შესწავლა შეიძლება მხოლოდ მეცნიერებათა მეთოდებითა და საშუალებებით. მეცნიერთა ინტერესების მრავალფეროვნებაზე მეტყველებს კონგრესის პირველ დღეს მომუშავე სექციათა სახელწოდებებიც: „სპორტი და პიროვნება", „სპორტი თანამედროვე კულტურის ფასეულობათა სისტემაში", „სპორტი და თავისუფალი დრო"...

ამ სამეცნიერო ფორუმზე წარმოდგენილი 400 მოხსენების ავტორთა სიაში შეგხვდებათ წარსულში კარგად ცნობილ ჩემპიონთა სახელებიც. მათ შეჯიბრებებში მონაწილეობის დიდი პრაქტიკა ეხმარებათ სპორტისა და ფიზიკური კულტურის თეორიის საიდუმლოებათა გაგებაში. ესენი არიან: ყოფილი მძლეოსნები მ. გუმელი (გდრ), ვ. კუზნეცოვი (სსრ კავშირი), რ. ბანისტერი (ინგლისი), მოკრივე ვ. პოპენჩენკო, ტანმოვარჯიშეები ლ. ლატინინა და თ. მანინა (ყველა — სსრ კავშირი).

კონგრესის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ სპორტული მეცნიერების ამ საერთაშორისო ფორუმზე განსაკუთრებით მეგობრული ატმოსფერო სუფევს. ამის შესახებ ილაპარაკა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საერთაშორისო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა, ფრანგმა ჟ. ბოროტრამ, რომელმაც აღნიშნა რომ მოსკოვის კონგრესზე შექმნილია საუცხოო პირობები მუშაობისთვის.

პედაგოგიკა და ფსიქოლოგია — ასეთი იყო მესამე დღის სამუშაო გეგმა. მოისმინეს ასზე მეტი მოხსენება. დისკუსიებში მონაწილეობდნენ თითქმის 20 ქვეყნის წარმომადგენლები.

ოლიმპიზმის იდეის განვითარებისა და თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის ფუძემდებლის პიერ დე კუბერტენის სულიერი მემკვიდრეობის შესახებ ილაპარაკა მისმა თანამემამულემ ჟ. დიურიმ. ეს მოხსენება წარმოდგენილი იყო საფრანგეთის ოლიმპიური კომიტეტის სახელით.

დიურიმ ხაზგასმით აღნიშნა ოლიმპიური იდეალების უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა სპორტსმენებისა და საერთოდ ახალგაზრდობისთვის.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საერთაშორისო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა, სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. დავიდოვმა, რომლის გამოსვლამაც ზოგადი და სპორტული ფსიქოლოგიის კავშირის შესახებ პლენარული სხდომის აუდიტორიის უდიდესი ინტერესი გამოიწვია, საკდესის კორესპონდენტს უთხრა, რომ დიდად სასიხარულოა კონგრესის მონაწილეთა ასეთი შემოქმედებითი დაინტერესება. კარგია, რომ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენლები ისწრაფვიან გაერთიანებული ძალით იზრუნონ სპორტის აქტუალური საკითხების გადაჭრისთვის. პროფესორმა დავიდოვმა აღნიშნა დოქტორ ფ. სიკორის (ჩეხოსლოვაკია) კვლევის დიდი მნიშვნელობა სპორტული პედაგოგიკისთვის (ჩეხოსლოვაკიელი მეცნიერი კონგრესზე მოხსენებით გამოვიდა).

მუშაობის თემატიკა მრავალფეროვანი და საინტერესოა. იმ დღეს საუბარი იყო ახალგაზრდობის გონებრივ და ესთეტიკურ აღზრდაზე სპორტის გავლენის, მოზარდთა და ქალთა სპორტის, სპორტის ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის შესახებ.

29 ნოემბერს კონგრესმა მუშაობა განაგრძო.

(საკდესი).

# კარგი სტარტი

## საქართველოს მოჭიდავეებმა სომხეთის გუნდს სძლიეს

დონის როსტოვი, 29 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ აქ დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში. ტურნირში 8 ნაკრები გუნდი მონაწილეობს. პირველ ქვეჯგუფში არიან რსფსრ-ს, მოსკოვის, ბელორუსიისა და ესტონეთის მოჭიდავეები, მეორეში კი — უკრაინის, ყაზახეთის, საქართველოს და სომხეთის სპორტსმენები.

პირველ დღეს საქართველოს მოჭიდავეები სომხეთის ნაკრებს შეხვდნენ (შერკინებები ორ ხალიჩაზე ტარდება. ერთზე უფროსები ჭიდაობენ, მეორეზე — იუნიორები). თუ საქართველოს უფროსთა გუნდმა ასპარეზობა წარმატებით დაიწყო, ამას ვერ ვიტყვით იუნიორების შესახებ. თ. ნოზაძემ და შ. გიგოლაშვილმა იოლად დაამარცხეს თავიანთი მეტოქეები ბ. არსენიანი და კ. მოვსესიანი, იუნიორებმა კი წაიფორხილეს და პირველი ორი შეხვედრა წააგეს. შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა და ჩვენი რესპუბლიკის «ბარების გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა. ზედა წონის კატეგორიებში საქართველოს ნაკრების ლიდერებმა — ა. ... თ. მ. ... ი. ... და შ. მორჩილაძემ იცავდნენ. ... [illegible] ... თხილება მიიღეს და წაგება ჩაეთვალათ.

იუნიორებში თავი ისახელეს მ. ხუხუამ, ნ. ნაკაშიძემ, ა. მაისურაძემ და ა. ჭელიძემ. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჭელიძემ, რომელმაც მეტოქეს 5 წამში აჯობა.

შეხვედრის საერთო ანგარიშია 58,5:17,5 საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ (უფროსები — 32,5:7,5, იუნიორები — 26:10).

უკრაინის გუნდმა მოუგო ყაზახეთის წარმომადგენლებს — 42,5:20,5, ბელორუსიელებმა — ესტონელებს — 53:15. სხვა შეხვედრები გვიან ღამემდე გაგრძელდა.

ზ. ჯაფარიძე.

ჩვენი დიდი [illegible]

## დეპუტატების აზრით

1974 წლის მანძილზე ლიტვის 300 ათასზე მეტმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა მიიღო მონაწილეობა საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში მოწყობილ ახალგაზრდულ ლაშქრობებში. ეს ციფრი დაასახელეს ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის სხდომაზე, რომელმაც განიხილა ტურიზმის შემდგომი განვითარების საკითხები.

საბჭოთა ლიტვაში 2,2 ათასი ტურისტული სექციაა. დამუშავებულია 30-ზე მეტი მარშრუტი საგანგებოდ ახალგაზრდობისთვის. წლეულს ზაფხულში პირველად მოეწყო ლაშქრობები მუდმივმოქმედი მარშრუტებით მოსწავლეთათვის. ამ ლაშქრობათა მონაწილენი ეცნობოდნენ ლიტვის ზღვისპირეთის გათავისუფლებისთვის საბჭოთა არმიის ბრძოლის ადგილებსა და ისტორიას.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა კომისიამ მოიწონა დადებითი გამოცდილება. ამასთან, მან აღნიშნა ახალი ტურისტული ბაზებისა და ახალგაზრდული ბანაკების მშენებლობის ნელი ტემპი.

ს. ვაინტრაუბასი.

ვილნიუსი.

საქველი [illegible]

## წოდების მინიჭება

საკავშირო სპორტკომიტეტმა თბილისელ ძიუდოისტს გ. გოგოლაურს (ასკ) სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭა.



# პირველი სტუმრები

ბაკურიანმა დიდი სამსახური გაუწია სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადას. მას არანაკლები როლი ეკისრება სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის საქართველოს სპორტსმენთა მომზადებაში. სწორედ ამ მიზნით „თეთრ მარგალიტს" პირველნი ჩვენი რესპუბლიკის ნიჩბოსნები ეწვივნენ. ბაკურიანიც მზად დახვდა სტუმრებს — ხვავრიელად მოთოვა და ახალ თოვლს პირველი კვალი ნიჩბოსნებმა დაატყვეს. სტუმრებს მზად დახვდათ სპორტკომიტეტის სათხილამურო ბაზაც (დირექტორი კ. ფანჯაკიძე).

ბაკურიანში საქართველოს ნიჩბოსნები საერთო ფიზიკურ მომზადებას გადიან. ამ სურათებზე მათი საწვრთნელი მეცადინეობის მომენტებია აღბეჭდილი.

მ. ზაქარეიშვილის ტექსტი და ფოტოები.

ბაკურიანი.



## მასპინძელთა წარმატება

როგორც 26 ნოემბრის ნომერში ვიუწყებოდით, რუმინეთში მიმდინარეობდა ხელბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი „კარპატის თასზე". ეს საპატიო პრიზი მოიპოვა რუმინეთის ნაკრებმა, რომელმაც წაუგებლად ჩაატარა შეჯიბრება.

II ადგილზე გავიდა გდრ-ის ეროვნული გუნდი, ხოლო III — იუგოსლავიის ნაკრები. სსრ კავშირის კოლექტივი უმთავრესად ახალგაზრდა მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული და IV ადგილზე მაღლა ვერ ავიდა.

# ქალა, რომელსაც მხარდაჭერა სჭირდება



თბილისი. ლენინის სახელობის დარბაზი. 28 ნოემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „სტროიტელი“ (კიევი) 82:72 (36:32).

„დინამო“: საკანდელიძე (გუნდს შესძინა 18 ქულა), ჩიხლაძე (18), ბიჭიაშვილი (12), მ. ქორქია (8), პულავსკი (8), ჩხიკვაძე (7), ბოლქვაძე (5), ძიძიგური (4), მალალთაძე (2), ქარაბაკი.

„სტროიტელი“: ს. კოვალენკო (28), რიჟიკი (14), ლუშნენკო (10), სმოლიაკოვი (8), ზაბროდა (6), ზდრაკი (2), ზემლიანუხინი (2), მარტინოვი (2).

მსაჯები: ს. აფანასიევი (ლენინგრადი), ი. სილინში (რიგა).

დუბლიორები — 104:100 (48:41).

პირველ ტაიმში „სტროიტელის“ მწვრთნელმა ვ. გლადუნმა შვიდი კალათბურთელი ათამაშა. ამათგან საუკეთესომ ს. კოვალენკომ თავის კოლექტივს 18 ქულა შესძინა, ხოლო ყველა დანარჩენმა — 14. ეს მშრალი ციფრები ნათლად განსაზღვრავენ „სტროიტელის“ სახეს წლევანდელ სეზონში.

კოვალენკო, რა თქმა უნდა, დიდი ძალაა, მაგრამ მხოლოდ მას არ შეუძლია ბრძოლის წარმართვა, არ შეუძლია თავისი პირობების კარნახი. კოვალენკო მაინც ყოველი კონკრეტული სიტუაციის ბოლო ეპიზოდია, მისი დამაგვირგვინებელი ნაწილი და არა ღერძი, რომელმაც გუნდის მოქმედება უნდა განსაზღვროს.

„სტროიტელს“ ასეთი „საგვანძო“ კალათბურთელიც ბევრი ჰყავდა. ჯერ თვით გუნდის დღევანდელი მწვრთნელი გლადუნი, მერე კიდევ პოგულიაი, რომელიც რატომღაც არ თამაშობდა. ახალგაზრდებმა რიჟიკმა და ზაბროდამ, ისევე როგორც უფრო გამოცდილმა სმოლიაკოვმა, მხოლოდ ის შეძლეს, რომ გაუთავისუფლეს ასპარეზი კოვალენკოს და თვითონ ნებაყოფლობით მეორეხარისხოვან როლს დასჯერდნენ.

ამიტომ „სტროიტელის“ პოზიცია თავიდანვე არ გამოდგა მყარი, თუმცა პირველი 12 წუთის მანძილზე იგი წინ იყო და „დინამო“ ანგარიშის გათანაბრებას ცდილობდა. მაგრამ უკვე მე-15 წუთიდან, მას შემდეგ, რაც უკრაინელებმა დაკარგეს ინიციატივა, ცხადი გახდა, რომ ბრძოლის ჩარხს ისინი ვეღარ მოაბრუნებდნენ.

ყველა უბედურება „სტროიტელს“ ერთბაშად დაატყდა თავს: ინიციატივა დინამოელებმა იგდეს ხელთ, დაიკარგა ფარი, სროლის სიზუსტე... მერე რიჟიკი და კოვალენკო გამოეთიშნენ თამაშს, მაგრამ ამ დროისთვის ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

თბილისელებმა ამ მატჩშიც მოქნილი ტაქტიკური აზროვნება გამოავლინეს, მხედველობაში მაქვს კოვალენკოს პრობლემის გადაჭრა. თავდაპირველად „სტროიტელის“ ცენტრალურ თავდამსხმელს დიდი სამოქმედო ასპარეზი ჰქონდა. მერე, როცა ძიძიგურს დახმარების ხელი გაუწოდა საკანდელიძემ, კოვალენკო კედელთან აღმოჩნდა მიმწყვდეული, მაგრამ მის თამაშს მაინც ჰქონდა სიმწვავე. ბოლოს ძიძიგური ბოლქვაძემ შეცვალა და... „სტროიტელის“ ცენტრალური თავდამსხმელი საერთოდ დაიკარგა თვალთახედვიდან.

„დინამომ“ ეს შეხვედრაც დამაკმაყოფილებლად ჩაატარა. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ჩიხლაძე, რომელმაც საკანდელიძესთან ერთად კარგად გაართვა თავი ორ როლს (იგი იყო დაკვირვებული დირიჟორიცა და ჩინებული სნაიპერიც).

**ნ. ბუზუშვილი.**





● თბილისის „დინამოს“ ხათადარიგო შემადგენლობამ გუშინწინ „სტროიტელთან“ შეხვედრაში მე-8 ქულა აიღო. დინამოელებმა ეს მატჩი საკმაოდ უცნაური ანგარიშით მოიგეს — 104:100. შედეგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ორივე გუნდმა მთელი თამაში თავდასხმაში გაატარა. ეს, სხვათა შორის, ასეც იყო.

მაგრამ თავდასხმის მოტრფიალეთა შორისაც იყვნენ გამორჩეულები, რომლებიც გამუდმებით ბომბავდნენ კალათს. აი, მათგან საუკეთესომ, „დინამოს“ ახალგაზრდა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ნ. დერიუგინმა (№ 18) თავის კოლექტივს 45 ქულა შესძინა. რეკორდიც ასეთი უნდა! მარცხენა სურათზე სწორედ ეს ნიჭიერი კალათბურთელი იბრძვის მეტოქის ფარქვეშ.

● მარჯვენა სურათზე თქვენ ხედავთ „სტროიტელის“ ძირითადი შემადგენლობის მთავარ დამრტყმელ ძალას ს. კოვალენკოს და მის მუდმივ თანამგზავრს ბ. ბოლქვაძეს (№ 11).

ვ. ზარგარიანის ფოტოები.




## თბილისი – 74

# გუფელდი კმაყოფილია

გუშინწინ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, სტარტი აიღო გამოჩენილი ქართველი მოჭადრაკის ვ. გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილმა III საერთაშორისო ტურნირმა. ვინაიდან სტუმრების უმრავლესობამ დააგვიანა თბილისში ჩამოსვლა, ტურნირის გახსნა და წილისყრა ხუთშაბათს დილით მოეწყო, ხოლო 1 ტური საღამოს გაიმართა.

სატურნირო ცხრილში მონაწილენი ასე განლაგდნენ: 1. საერთაშორისო ოსტატი ვ. ბაგიროვი (ბაქო), 2. საერთაშორისო დიდოსტატი რ. ხოლმოვი (მოსკოვი), 3. საერთაშორისო ოსტატი ვ. ჩოკილტია (რუმინეთი), 4. საერთაშორისო ოსტატი რ. კინი (ინგლისი), 5. საერთაშორისო დიდოსტატი ე. გუფელდი (თბილისი), 6. ოსტატი ს. ბოხოსიანი (ბულგარეთი), 7. ოსტატი გ. ლებრედო (კუბა), 8. საერთაშორისო დიდოსტატი ბ. გურგენიძე (თბილისი), 9. საერთაშორისო ოსტატი ვ. შმიდტი, 10. ოსტატი ა. შნაპიკი (ორივე — პოლონეთი), 11. ოსტატი ე. უბილავა, 12. საერთაშორისო ოსტატი ნ. გაფრინდაშვილი, 13. ოსტატი თ. გიორგაძე (სამივე — თბილისი), 14. საერთაშორისო ოსტატი გ. სიგურიონსონი (ისლანდია), 15. ოსტატი ა. ტუზოვსკი (სოხუმი), 16. ოსტატი ვ. ნიჩევსკი (იუგოსლავია).

მონაწილეთა რეიტინგის (ფიდე-ს მიერ შემოღებული მოჭადრაკის ძალის განმსაზღვრელი ციფრობრივი მონაცემები) მიხედვით, ტურნირში დაწესებულია 10 ქულა საერთაშორისო დიდოსტატისა და 7,5 ქულა საერთაშორისო ოსტატის ბალის მისაღებ ნორმატივად.

**I ტური.** ხოლმოვი — ტუზოვსკი 0,5:0,5, ჩოკილტია — სიგურიონსონი 0,5:0,5, კინი — გიორგაძე 0,5:0,5, გუფელდი — გაფრინდაშვილი 0,5:0,5, ბოხოსიანი — უბილავა 1:0. გურგენიძე — შმიდტის პარტია გადაიდო. არ შედგა ბაგიროვ — ნიჩევსკისა და ლებრედო — შნაპიკის პარტიები, ვინაიდან ბაგიროვი და ლებრედო არ ჩამოვიდნენ.

როგორც კი გაფრინდაშვილმა მე-12 სვლაზე მიიღო შეთავაზებული ყაიმი, გუფელდს სახე გაებადრა. იგი კმაყოფილი იყო დაზავებით.

— ძალიან ძნელია ნონასთან თამაშის დროს, — ამბობდა შემდეგ დიდოსტატი. — მასთან მოგებას გმირობად არავინ ჩაგვითვლის, წაგება კი საქვეყნოდ გახმიანდება. არადა, ნონასთან დამარცხება დიდოსტატისთვისაც სირცხვილი როდია. ბევრმა არ იცის და ვერც წარმოუდგენია, რა ძალის მოჭადრაკეა ნონა. ეს რომ გაიგო, საკუთარ თავზე უნდა გამოსცადო მასთან თამაში. მადლობა ღმერთს, მე ვიცნობ ნონას. წინა მემორიალში ისეთი დღე დამაყენა, რომ დავიფიცე, მასთან ერთად ტურნირში აღარ ვითამაშებ-მეთქი. მაგრამ სიტყვა გავტეხე. სხვა გზა არ მქონდა. ძალიან მსურდა მემორიალში თამაში.

ყაიმით დამთავრებულ სამ სხვა პარტიაში ბრძოლა ძალაგამოცლილი იყო. გიორგაძემ სადებიუტო სიძნელეებს თავი რომ დააღწია, თანაბარი პოზიცია შეიქმნა. ყაიმი სავსებით ლოგიკური შედეგი გამოდგათ. ჩოკილტია იერიშზე ოცნებობდა. მან გრძელი როქი ააგო, მეფის ფრთაზე ვერტიკალიც გახსნა, მაგრამ ისლანდიელმა თოკიდობაკემ უძლიერესი კონტრიერიშით გაათავისუფლა თეთრი მეფის წინააღმდეგ და მდგომარეობა გაათანაბრა. ლაზიერების გაცვლის შემდეგ მეტოქის რესურსები ამოიწურა და მეტოქეები ყაიმით დაკმაყოფილდნენ. ესპანურ პარტიაში ხოლმოვმა პატარა პოზიციური უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ ტუზოვსკი საიმედოდ იგერიებდა მუქარას. მან თანდათან დაცვარილა დიდოსტატის ლაშქარი ფიგურების გაცვლით. ბრძოლა მსუბუქფიგურებიან თანაბარ ენდშპილში გადავიდა, სადაც მეტოქენი დაზავდნენ კიდეც.

გურგენიძემ ორიგინალურად გაითამაშა პარტიის დასაწყისი და უკეთესი პოზიცია შექმნა. მერე მან მოულოდნელად პაიკი დაკარგა, მაგრამ სასოწარკვეთას როდი მიეცა, ფიგურების განვითარება დაამთავრა და კონტრთამაში ჩაება. შმიდტმა პაიკი უკან დააბრუნა და უკეთეს პოზიციას დასჯერდა. როცა თამაში ენდშპილში გაგრძელდა, აღმოჩნდა, რომ პოლონელი ოსტატის კუ უფრო ძლიერი იყო, ვიდრე გურგენიძის მხედარი. ამავე დროს, შმიდტს ლაზიერის ფრთაზე ოთხი პაიკი ჰქონდა სამის წინააღმდეგ. პარტია გადაიდო გურგენიძისთვის უარეს პოზიციაში.

სიცილიურ დაცვაში ბულგარეთის ექს-ჩემპიონმა ხელთ იგდო ინიციატივა. ბოხოსიანი ლაზიერის გაცვლის შემდეგ თავის ნება-სურვილს უკარნახებდა მეტოქეს. როცა პოზიციური უპირატესობა საგრძნობი იყო, მან კუსა და პაიკში ეტლი შესწირა, სამაგიეროდ კი ორი გამსვლელი გადაბმული პაიკი მიიღო და ამ პაიკების ამოძრავებით გაიმარჯვა კიდეც.

— შეცდომა დებიუტში დავუშვი, — თქვა უბილავამ პარტიის შემდეგ.

**თ. გიორგაძე,**
მემორიალის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.

* * *

სურათზე: ტურნირის მონაწილენი წილისყრის დროს (მარცხნიდან) — ბ. გურგენიძე, გ. სიგურიონსონი, ე. გუფელდი, ნ. გაფრინდაშვილი, ს. ბოხოსიანი, თ. გიორგაძე, ვ. შმიდტი, ე. უბილავა, ა. შნაპიკი, ა. ტუზოვსკი და ვ. ჩოკილტია.

ვ. ზარგარიანის ფოტო.

# პირველ ტაიმში უკეთ ითამაშეს

## დებიუტანტმა ნოკაუტით წააგო

გაიმართა მორიგი ტურის რამდენიმე მატჩი.

კაუნასი. ადგილობრივმა „ჟალგირისმა“ მეორედაც სძლია ტარტუს „კალევს“, — ამჯერად ანგარიშით 97:88. ამ შეხვედრაში, ისევე როგორც წინა დღეს, ესტონელებმა კარგად ჩაატარეს ბრძოლის პირველი ნახევარი (41:41). შესვენების შემდეგ „კალევმა“ ერთხანს კიდევ ხცადა წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ამაოდ. მასპინძლები უფრო აგრესიულად იყვნენ განწყობილი და გაიმარჯვეს.

მოსკოვი. დინამოელებმა საკავშირო ჩემპიონატის დებიუტანტს — ვილნიუსის „სტატიბას“ უმასპინძლეს. კრივის ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, „დინამომ“ ნოკაუტით მოიგო ეს შეხვედრა — 96:61.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 8 | 7 | 1 | 704—589 | 7 |
| ცსკა | 8 | 6 | 2 | 772—657 | 6 |
| „დინამო“ (მ.) | 7 | 6 | 1 | 621—503 | 6 |
| „დინამო“ (თბ.) | 7 | 6 | 1 | 613—580 | 6 |
| „ჟალგირისი“ | 8 | 5 | 3 | 659—653 | 5 |
| „კალევი“ | 8 | 3 | 5 | 663—666 | 3 |
| „სტროიტელი“ | 5 | 2 | 3 | 427—422 | 2 |
| „სტატიბა“ | 7 | 2 | 5 | 540—612 | 2 |
| რტი | 8 | 1 | 7 | 642—726 | 1 |
| „ურალმაში“ | 10 | 0 | 10 | 765—938 | 0 |



## სტატისტიკოსის ბლოკნოტიდან

# თბილისის „დინამო" მეორე წრეში

● „დინამოს" რიგებში ითამაშა 19 ფეხბურთელმა: მ. მაჩაიძემ — 15 მატჩი, ებრალიძემ, ესებუამ, გ. მაჩაიძემ — 14-14, ხურცილავამ, ჭელიძემ — 13-13, გუცაევმა — 12, გ. ნოდიამ — 11, გაგოშიძემ, ძოძუაშვილმა — 10-10.

● გუნდმა მეორე წრეში დააგროვა 17 ქულა. სხვათა შორის, 1973 წლის გათამაშების მეორე წრეშიც მას ასევე 17 ქულა ჰქონდა, ოღონდ ბურთების სხვაობა წლეულს არის 17:15, 1973 წელს კი — 27:18.

● მოგებულია 5 მატჩი, აქედან 3 — სტუმრად, 2 — შინ (პირველ წრეში „დინამომ" სხვის მინდვრებზე ვერც ერთხელ ვერ გაიმარჯვა).

● 17 გოლიდან „დინამომ" შინ გაიტანა მხოლოდ 6, სტუმრად — 11. თავის კარში გასული 15 ბურთიდან გუნდმა შინ მიიღო 4, სტუმრად — 11.

● მეტოქის მინდვრებზე ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა ჭელიძემ — 4. მ. მაჩაიძეს ეკუთვნის 3 გოლი. თითო ბურთი მოდის გ. ნოდიას, გუცაევის, ასათიანისა და ხურცილავას ანგარიშზე.

● არბიტრებმა „დინამოს" კარში 3 თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა დანიშნეს: 1 „ფახთაქორთან" და 2 — „არარატთან". 2 ასეთი დარტყმა ზუსტი გამოდგა, ხოლო მესამე იშტოიანმა ძელს მოახვედრა (საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ფახთაქორის" კარშიც დაარტყეს დინამოელებმა პენალტი). დინამოელთა სასარგებლოდ ასევე 3 პენალტი დაინიშნა და ვ. ჭელიძე მუდამ ზუსტი იყო.

● დინამოელებს შინ გოლის გატანა ერთობ უჭირდათ. მათ 6 აგვისტოს გაიტანეს ბურთი „ქაირათთან" (რეხვიაშვილი) და ამის შემდეგ სამ თვეზე მეტი დასჭირდათ გოლის გასატანად. ნავსი „ჩერნომორეცთან" გატყდა 17 ნოემბერს (მ. მაჩაიძე, ძოძუაშვილი).

● „დინამომ" გასულ ჩემპიონატში სულ 8-ჯერ წააგო, აქედან მეორე წრეში — 3-ჯერ, მათ შორის ერთი მატჩი შინ „სპარტაკთან" — 0:1.

● 17 ქულიდან „დინამომ" 9 მოაგროვა სტუმრად, 8 კი — შინ. ბოლო 9 ტურში თბილისელებს არც ერთი არ წაუგიათ, ხოლო ბოლო 3 მატჩი მოიგეს და 6 ქულა ჩაიწერეს.

● საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებთან „დინამომ" მხოლოდ 4 ქულა აიღო: ჩემპიონთან — 1 ქულა, „სპარტაკთან" — არც ერთი, „ჩერნომორეცთან" — 3. გუნდმა მაქსიმუმი (4 ქულა) მხოლოდ ბოლო ადგილზე მყოფ „ნისტრუსთან" დააგროვა და ყველაზე მეტი გოლიც მის კარში გაიტანა — 7.

● უმაღლესი ლიგიდან გასულმა „ქაირათმა" თბილისელებს 3 ქულა წაართვა: 2 — ალმა-ათაში, 1 — თბილისში, თანაც, ალმა-ათაში „დინამო" დიდი ანგარიშით დამარცხა — 5:0.

● თბილისელთა ახლანდელმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა მ. მაჩაიძემ ბოლო სამ თამაშში 5 გოლი გაიტანა.

● წლევანდელ სეზონში გ. ნოდიამ თავისი 94-ე გოლი გაიტანა. გ. ფედოტოვის კლუბში მოსახვედრად მას კიდევ 6 ბურთი სჭირდება.

● თბილისის „დინამო" 35 ჩემპიონატში მონაწილეობდა და არასოდეს IX ადგილზე დაბლა არ ყოფილა. ასეთი შედეგი უმაღლესი ლიგის არც ერთ გუნდს არა აქვს.

რ. კოვზირიძე.

პირველი წრის შედეგები გამოქვეყნებული იყო 14 აგვისტოს ნომერში.

### არა 1:1, არამედ 3:1

გაზეთ „ლელოს" 14 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილია რ. კოვზირიძის სტატისტიკური შენიშვნები კიევის „დინამოზე", სადაც აღნიშნულია, რომ ამ გუნდმა 1966, 1967 და 1968 წლებში ფრედ დაამთავრა შეხვედრები თბილისში ადგილობრივ თანაკლუბელებთან (1:1).

სინამდვილეში კიევლებმა 1966 წელს თბილისში წააგეს შეხვედრა ანგარიშით 1:3. ბურთები გაიტანეს: თბილისელთაგან — ს. მეტრეველმა (2) და ქ. ასათიანმა, ხოლო კიევლთა მხრივ — ვ. ხმელნიცკიმ.

თ. მიქელაძე.



# ციფრები და ფაქტები

● ლიგის 380 კალენდარულ მატჩში გატანილია 993 გოლი, ესე იგი თითო მატჩში საშუალოდ 2,6 ბურთი. ეს გოლები მოდის 227 ფეხბურთელზე. მათგან ერთია სპორტის დამსახურებული ოსტატი — მინსკის დინამოელი ე. მალოფეევი.

● მასპინძლებმა მოიგეს 223 შეხვედრა (59 პროცენტი), ფრედ დაამთავრეს 95 და მხოლოდ 62 წააგეს, აიღეს 541 ქულა (71 პროცენტზე მეტი), დაკარგეს — 219.

● შინ ყველაზე მეტი თამაში მოიგეს ბაქოელებმა — 16. ყველაზე მეტი გოლი საკუთარ მინდორზე გაიტანა მოსკოვის „ლოკომოტივმა" — 52.

● სტუმრად ყველაზე მეტი თამაში მოიგეს როსტოვის არმიელებმა და „ლოკომოტივმა" — 8-8. შინ მხოლოდ თითო მატჩი წააგეს როსტოველებმა, „ნეფთჩიმ" და მინსკის „დინამომ".

● მეტოქის მინდვრებზე ვერც ერთი თამაში ვერ მოიგო მხოლოდ ივანოვოს „ტექსტილშჩიკმა".

● ერთ მატჩში ყველაზე მეტი გოლი გავიდა „ნეფთჩისა" და სიმფეროპოლის „ტავრიას" შეხვედრაში: ანგარიშით 6:4 გაიმარჯვეს ბაქოელებმა.

● სტუმრად ყველაზე მეტი გოლი გაიტანა „ლოკომოტივმა" — 21, ხოლო ყველაზე ცოტა — ლიპეცკის „მეტალურგმა" — 6.

● საკუთარ მინდორზე ყველაზე მეტი ქულა აიღო „ნეფთჩიმ" — 34, სტუმრად კი — „ლოკომოტივმა" — 21.

● დიდი ანგარიშით დამთავრდა 44 შეხვედრა. ყველაზე მეტი ასეთი მოგება მოდის „ტავრიას" ანგარიშზე — 7, ყველაზე მეტი ასეთი წაგება (6) იგემა „ტექსტილშჩიკმა". სარეკორდო ანგარიშით დამთავრდა აშხაბადის „სტროიტელისა" და ლიპეცკის „მეტალურგის" შეხვედრა. ანგარიშით 9:0 გაიმარჯვა „სტროიტელმა".

● სულ დაინიშნა 96 პენალტი — 78 სტუმართა და 18 მასპინძელთა კარში. მათგან გატანილია 74 (77 პროცენტი). მასპინძლებმა ვერ შეძლეს 17 პენალტის გატანა, სტუმრებმა კი ვერ გამოიყენეს 5 თერთმეტმეტრიანი.

● „ჰეთ-თრიკი" შეასრულა 11 ფეხბურთელმა, ამასთან, როსტოველმა გონჩაროვმა და „ტავრიას" თავდამსხმელმა კლიმოვმა ერთ-ერთ მატჩში 4-4 გოლი გაიტანეს. 2-2-ჯერ გაიტანეს 3-3 გოლი ივანო-ფრანკოვსკის „სპარტაკის" თავდამსხმელმა დირიჯმა და აშხაბადელმა ფომინმა.

● საკუთარ კარში ბურთები გაიტანეს: ქილინმა, პოლოხოვმა (ორივე — „ტავრია"), ლუპანოვმა („ყუბანი"), ზიმამ („ზვეზდა"), მარტინოვმა („კრილია სოვეტოვი", კუიბიშევი), პოტაპოვმა („ტექსტილშჩიკი"), სიროვმა („მეტალურგი", ზაპოროჟიე), ტკაჩენკომ („სპარტაკი", ნალჩიკი) და ხუადონოვმა („სპარტაკი", ორჯონიკიძე).

● ცალკეული გუნდების საუკეთესო ბომბარდირები: მარკინი („ზვეზდა"), კლიმოვი („ტავრია") — 25-25 გოლი, ჩესნოკოვი („ლოკომოტივი") — 20, არიაპოვი („კრილია სოვეტოვი") — 19, ვიტ. რაზდაევი („კუზბასი"), პოგორელოვი („პამირი") — 18-18, კიტაევი („სპარტაკი", ორჯონიკიძე), აბასოვი („ნეფთჩი") — 17-17, ე. მალოფეევი („დინამო", მინსკი), ივანოვი („ყუბანი") — 14-14, პილიპკო („სპარტაკი", ნალჩიკი), ძაგოევი („სტროიტელი"), ა. ჩიხლაძე (ასკ, დონის როსტოვი) — 13-13, გავრილოვი („შინიკი") — 11, დირივი („სპარტაკი", ივანო-ფრანკოვსკი) — 10, ჟურავლიოვი („ურალმაში"), პეტროვი („მეტალურგი", ზაპოროჟიე), ალიოხინი, სილოხინი (ორივე — „მეტალურგი", ლიპეცკი) — 9-9, ხერხაძე („ტორპედო"), პიანოვი („ტექსტილშჩიკი") — 8-8 გოლი.

გარდა ხერხაძისა, „ტორპედოს" მხრივ გოლები გაიტანეს: ჩახუნაშვილმა — 7, შელიამ — 6, გაბიჩვაძემ — 5, ოქროპირაშვილმა, ფესტვენიძემ და შენგელიამ — 2-2, აბზიანიძემ, ფიფიამ, ჭოხონელიძემ, ბურკაძემ და ფარულავამ — თითო.

● მინდვრიდან გააძევეს: პოდლუჟნი („სპარტაკი", ორჯონიკიძე), პილიპკო („სპარტაკი", ნალჩიკი), სიომინი („ლოკომოტივი"), ანისტრახოვი („სპარტაკი", ივანო-ფრანკოვსკი), პაშკოვსკი („კუზბასი"), კარლოვი („სტროიტელი"), ლიუბავინი („ტექსტილშჩიკი").

გაფრთხილება მიიღო 103 ფეხბურთელმა. ქუთაისის „ტორპედოს" პირველ წრეში მხოლოდ ერთი გაფრთხილება ჰქონდა, მეორე წრეში კი გუნდმა კიდევ 8 გაფრთხილება მიიღო.

ყველაზე კორექტული გუნდები არიან „ზვეზდა", „ყუბანი" და „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — მხოლოდ 3-3 გაფრთხილება.

ჯ. ჩაჩავა.

# როგორი იქნება ხვალინდელი ფეხბურთი?..

— რომელი საფეხბურთო სკოლა გაიმარჯვებს მომავალში — ევროპული თუ სამხრეთამერიკული, ამას დრო გვიჩვენებს, X მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ კი ყველასთვის ნათელი გახდა, რომ წინ ევროპელები არიან, — განაცხადა იუგოსლაველმა ფეხბურთის სპეციალისტმა ჩ. ბოჟინოვსკიმ სოციალისტური ქვეყნების საფეხბურთო ექსპერტთა პირველ თათბირზე, რომელიც შედგა ბულგარეთის ქალაქ ვარნაში. — მსოფლიო ჩემპიონატმა ცხადყო სოციალისტურ სახელმწიფოთა ფეხბურთის მიღწევები. უპირველეს ყოვლისა, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და იუგოსლავიის გუნდების წარმატებები.

მსოფლიო ჩემპიონატში ევროპული ფეხბურთის გამარჯვების შესახებ ილაპარაკა მოსკოვის „დინამოს" უფროსმა მწვრთნელმა გ. კაჩალინმა:

— ეს მიღწეულია, — აღნიშნა მან, — ევროპელ ფეხბურთელთა უფრო სწრაფი და გააზრებული მოქმედებებით უბურთოდ. სწორედ ამან განაპირობა უმთავრესად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ჰოლანდიისა და პოლონეთის გუნდების მიღწევები.

აუდიტორიის დიდი ინტერესი გამოიწვია პოლონეთის ნაკრების მწვრთნელის კ. გურსკის გამოსვლამ. მწვრთნელის აზრით, პოლონელ ფეხბურთელთა წარმატების მთავარ საფუძველს წარმოადგენდა ჩემპიონატისთვის მზადების კარგად მოფიქრებული გეგმა.

— პოლონეთის ფედერაციამ დაამტკიცა მწვრთნელთა მიერ შემუშავებული გეგმა, — თქვა გურსკიმ, — რის შემდეგ ჩვენ განუხრელად ვასრულებდით მას. ჩვენ გვეხმარებოდა ყველა: მოთამაშეებიც, მწვრთნელებიც, გულშემატკივრებიც. ამ გეგმაში მთავარი იყო მოთამაშეთა ფიზიკური მომზადება, ვინაიდან მხოლოდ პირველხარისხოვანი ფიზიკური კონდიციების წყალობით შეუძლია სპორტსმენს გამოავლინოს ყველაფერი, რაც კი ძალუძს, გვიჩვენოს, როგორ არის მომზადებული ტექნიკურადაც და ტაქტიკურადაც.

ფიზიკური მომზადების როლზე, ფეხბურთელთა მაღალი სისწრაფისას მანევრების შესრულებაზე იყო ლაპარაკი ბულგარელ სპეციალისტთა ჯგუფის მოხსენებაში, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის დროს გულდასმით ანალიზს უკეთებდნენ მოწინავე ფეხბურთელთა თამაშს.

პოლონეთის ნაკრების ფეხბურთელი კ. დეინა და იუგოსლაველი ნახევარმცველი ბ. ობლაკი, მაგალითად, ბულგარელ სპეციალისტთა ანგარიშით, მატჩის მსვლელობაში ფარავდნენ 7500 ათას მეტრს, მაშინ, როცა ბრაზილიელი რიველინო და იტალიელი ჯ. რივერა მხოლოდ დაახლოებით 2 ათას მეტრს გადიოდნენ. ამას გარდა, დეინას და ობლაკს უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვთ სპრინტშიც. მატჩის დროს შეიძლება 10 კილომეტრიც გაირბინო, მაგრამ ცუდად ითამაშო, დეინა და ობლაკი კი თავიანთს გუნდებში მოწინავენი იყვნენ და მათს მანევრებს მუდამ დიდი სარგებლობა მოჰქონდა.

ვარნის თათბირის შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ მის ერთ-ერთ მონაწილეს, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს ბ. ფედოსოვს.

— განვლილი თათბირის ძირითად თემას წარმოადგენდა თანამედროვე ფეხბურთის განვითარების გზების განსაზღვრა. წაკითხულ იქნა ბევრი საინტერესო მოხსენება ტაქტიკურ სქემებზე, ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებაზე და ყოველივე ამას ახლდა დიაგრამები, ცხრილები.

ვარნაში მიმდინარეობდა დისკუსია ფეხბურთის მომავალზე, იყო სადავო მომენტებიც, მაგრამ თათბირის მონაწილეთა შეხედულებანი ერთმანეთს ძირითადად დაემთხვა. ერთსულოვნებაა, მაგალითად, მიღწეულ საკითხში, თუ ვისი თამაში უნდა მივიჩნიოთ ნიმუშად მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატისთვის. წინათ ყოველი ჩემპიონატის შემდეგ ყველა ცდილობდა გადაეღო მხოლოდ გამარჯვებულთა თამაში, მაგრამ ივიწყებდნენ, რომ ტურნირის სხვა მონაწილეებსაც ჰქონდათ რაღაც ახალი, იგი კი მეთვალყურეებს ხშირად რჩებოდათ მხედველობიდან. განვლილმა ჩემპიონატმა ნათლად დაგვანახვა, რომ 8 საუკეთესოს შორის მოხვედრილ ყველა გუნდს ჰქონდა ბევრი საინტერესო რამ, რაც მათს მეტოქეებს აკლდათ.

— სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია, — თქვა დასასრულს ფედოსოვმა, — რა თქმა უნდა, გააცნობს თათბირის მასალებს ჩვენს მწვრთნელებსა და სპეციალისტებს.

ა. გორბუნოვი,
ა. ლევინსონი.
(საქინფორმის კორ.).

# ზეიმი ჩემპიონთა ქალაქში

**კიევი, 28 ნოემბერი. (საქინფორმი).** ფეხბურთის უამრავი მოყვარული და სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები შეიკრიბნენ დღეს ოქტომბრის კულტურის სასახლეში საღამოზე, რომელიც კიევის „დინამოს" ფეხბურთელთათვის სსრ კავშირის ჩემპიონთა ოქროს მედლების გადაცემას მიეძღვნა.

კიეველ ფეხბურთელებს სიტყვით მიმართა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსმა ლ. ზენჩენკომ, რომელმაც მათ უსურვა ჩემპიონური თამაში, სპორტული წარმატებები მომავალ სეზონში და ოქროს მედლები გადასცა.

გუნდის სახელით გამოვიდა მისი უფროსი მწვრთნელი, უკრაინის სსრ დამსახურებული მწვრთნელი ვ. ლობანოვსკი, რომელმაც სპორტის მოყვარულებს აღუთქვა, რომ დინამოელთა კოლექტივი თავს არ დაზოგავს თავისი მაღალი ტიტულების გასამართლებლად.

კიეველებს გადაეცათ ყველა პრიზი და თასი, რომლებიც მათ მოიპოვეს წლევანდელ სეზონში.

კიევის „დინამოს" ფეხბურთელებს წარმატება მიულოცეს უკრაინის დედაქალაქის მშრომელთა და ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა, მსახიობებმა, ცნობილმა სპორტსმენებმა, მწვრთნელებმა, ნორჩმა დინამოელებმა.



ორთაბრძოლა. მ. თათარიშვილის ფოტო.

# მსაჯმა მინდორი დატოვა

შავი ზღვის საკურორტო ქალაქებში გრძელდება II ლიგის საუკეთესო გუნდების ფინალური ტურნირი I ლიგაში გადასასვლელად.

საოცარი ამბავი მოხდა ადლერის სტადიონზე, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ გროზნოს „თერგი" და ხარკოვის „მეტალისტი". მატჩის დამთავრებას აკლდა 45 წამი, ანგარიში იყო 2:1 ხარკოველთა სასარგებლოდ, როცა ორივე გუნდის ფეხბურთელთა, აგრეთვე, გულშემატკივართა უდისციპლინობის გამო თამაში შეწყდა. მატჩის არბიტრმა ს. კარაპეტიანმა აიღო ბურთი და მინდორი დატოვა.

სოჭის ცენტრალურ სტადიონზე ყაზანის „რუბინმა" დაამარცხა ყარაგანდის „შახტიორი" — 2:0. ხოსტაში ფრედ ითამაშეს „ალგამ" (ფრუნზე) და „იანგიერმა" (იანგიერი) — 0:0.

# უეფა-ს თასზე

## პირველი მერვედფინალური მატჩები

27 ნოემბერს შედგა უეფა-ს გათამაშების თასის პირველი მერვედფინალური მატჩები. მოგვყავს მათი შედეგები:

„იუვენტუსი" (ტურინი, იტალია) — „აიაქსი" (ამსტერდამი, ჰოლანდია) 1:0
„ნაპოლი" (იტალია) — „ბანიკი" (ოსტრავა, ჩეხოსლოვაკია) 0:2
„ჰამბურგერ შპორტფერაინი" (გფრ) — „დინამო" (დრეზდენი, გდრ) 4:1
„პარტიზანი" (ბელგრადი, იუგოსლავია) — „კიოლნი" (გფრ) 1:0
„ბორუსია" (მიონხენგლადბახი, გფრ) — „რეალი" (სარაგოსა, ესპანეთი) 5:0
„დუკლა" (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) — „ტვენტე" (ენსხედე, ჰოლანდია) 3:1
„დერბი ქაუნთი" (ინგლისი) — „ველეჟი" (მოსტარი, იუგოსლავია) 3:1
„ფკ ამსტერდამი" (ჰოლანდია) — „ფორტუნა" (დიუსელდორფი, გფრ) 3:0.
მერვედფინალის განმეორებითი შეხვედრები 11 დეკემბერს შედგება.

## ტელეტაიპის ლენტიდან

### ცნობები, ცნობები...

ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ბიულეტენში ამ სახეობის ისტორიაში საუკეთესო ათლეტთა სიაში სსრ კავშირის წარმომადგენლები 9 წონითი კატეგორიიდან ხუთში პირველ ნომრებად არიან დასახელებული. სულ უძლიერესთა ათეულებში დასახელებულია სსრ კავშირის 36, ბულგარეთის 13, იაპონიის 9, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 7, პოლონეთის 6, უნგრეთის 5, ირანის 4, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და შვეციის 2-2 წარმომადგენელი.

ბრატისლავაში დამთავრდა კალათბურთელ ქალთა გუნდების ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. I ადგილისთვის მატჩში ადგილობრივმა „ხლოვანმა" ანგარიშით 61:48 (28:25) სძლია პლოვდივის „აკადემიკს". III ადგილზეა ტიმიშოარას უნივერსიტეტის გუნდი.

## 11 წლის მანძილზე

**ბერლინი, 28 ნოემბერი.** (საქდესი). აფრიკისა და აზიის 23 ქვეყნის 60 სპორტის სპეციალისტმა მიიღო ლაიპციგის ფიზიკური კულტურის უმაღლესი გერმანული სკოლის მწვრთნელთა კურსების დიპლომები. საქვეყნოდ სახელგანთქმულ სპორტულ ინსტიტუტში სწავლის 8 თვის მანძილზე მათ შეიძინეს საფუძვლიანი ცოდნა მძლეოსანთა, ფეხბურთელთა, ტანმოვარჯიშეთა და ხელბურთელთა მზადების სფეროში, გაეცნენ მასობრივი სპორტის დონეს რესპუბლიკაში.

ლაიპციგის ინსტიტუტთან არსებული საერთაშორისო კურსები უკვე 11 წელია მუშაობს. ამ ხნის მანძილზე აქ კვალიფიკაცია აიმაღლა 800-ზე მეტმა უცხოელმა მწვრთნელმა და ფიზკულტურის მასწავლებელმა.

## ჩოგბურთის კორტებზე

ბუენოს-აირესში გამართულ არგენტინის ღია ჩემპიონატში გაიმარჯვა მასპინძელმა გილერმო ვილასმა, რომელმაც ფინალურ შეხვედრაში სძლია ესპანელ მანუელ ორანტესს — 6:3, 0:6, 7:5, 6:2 (ნახევარფინალში მან ბრაზილიელი ედისონ მანდარინო დაამარცხა — 6:1, 6:3, 6:4). ვაჟთა წყვილების ტურნირში ვილარი და ორანტესი უკვე შეერთებული ძალებით მოქმედებდნენ და ყველა მეტოქე დაჯაბნეს.

ავსტრალიაში, როგორც იცით, საჩოგბურთო სეზონი თანდათან იკრებს ძალას. ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა ბრისბენში, სადაც წარმატება მასპინძლებს ხვდათ. ვაჟთა შეჯიბრებაში ყველას აჯობა ბობ გილტინენმა, რომელმაც ფინალში დასავლეთგერმანელი ული მარტენი დაამარცხა — 6:2, 7:6, 6:7, 6:3. ქალთა ტურნირის გადამწყვეტ შეხვედრაში კი ივონ გულაგონგმა იოლად სძლია თავის ნორჩ თანამემამულეს სინტია დიორნერს — 6:1, 6:2.

ტორკუეიში (დიდი ბრიტანეთი) დამთავრებულ ქალთა საერთაშორისო ტურნირში ყველას აჯობა 1969 წლის უიმბლდონის ტურნირის ჩემპიონმა, ინგლისელმა ენ ჯონსმა (უიმბლდონში გამარჯვების შემდეგ მას დიდ შეჯიბრებებში მონაწილეობა არ მიუღია) — ფინალში მოუგო ამერიკელ ჯენეტ ნიუბერის — 7:5, 7:6.



## ობიექტივში მსოფლიო

### უცნაური ეპიზოდები

სპორტულ თამაშებში ყოველ წუთს შეიძლება მოულოდნელი ამბები მოხდეს. ამ ფოტოსურათებზეც სწორედ ასეთი მომენტებია აღბეჭდილი. ზედა სურათი ჰოკეისტთა შეხვედრის ერთ-ერთ ეპიზოდს გვაცნობს. როგორც ხედავთ, კარში შაიბის გარდა ყველა შევარდა — მოთამაშეც და მსაჯიც კი, ხოლო მეკარე გარედან ცდილობს დაეხმაროს განსაცდელში ჩავარდნილ პარტნიორს.

ქვედა ფოტოზე კალათბურთელები თამაშობენ. მიწაზე დავარდნილი მოთამაშე თითქოს გზას ულობავს თანაგუნდელს და მეტოქეს გზის გაგრძელების საშუალებას აძლევს.

ე. ვარმინსკისა და ლ. ფიდუსევიჩის (ვარშავა) ფოტოები.



## საბჭოთა გუნდები უცხოეთში

**დარ-ეს-სალამი, 27 ნოემბერი.** ტანზანიაში სტუმრად მყოფმა მინსკის „დინამომ" პირველი გამარჯვების შემდეგ მეორე მატჩში წაგების სიმწარე იწვნია: სტუმრები ანგარიშით 2:3 (2:1) დამარცხდნენ ქვეყნის ჩემპიონ „იანგ აფრიკანსთან".

თავდაპირველად თამაში მინსკელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ 47-ე წუთზე მასპინძლებმა ჯერ ანგარიში გაათანაბრეს, 90-ე წუთზე კი გამარჯვების გოლიც გაიტანეს.

**ბანგკოკი, 28 ნოემბერი.** სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები განაგრძობს ტურნეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. იგი ტაილანდის მეორე ნაკრებს შეხვდა და დიდი ანგარიშით გაიმარჯვა — 7:0 (3:0). ხუთი ბურთი გაიტანა სლობოდიანმა, ორიც — ჩესნოკოვმა.

სსრ კავშირის გუნდი ტაილანდში კიდევ ორჯერ ითამაშებს.

**კონაკრი, 28 ნოემბერი.** გვინეის დედაქალაქის კლუბების ნაკრებთან მოსკოვის „სპარტაკის" შეხვედრამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია: ადგილობრივ სტადიონზე ტევა არ იყო. თამაში დაძაბულად წარიმართა. 23-ე წუთზე ლოვჩევმა ანგარიში გახსნა, მაგრამ 4 წუთის შემდეგ მასპინძელთა მცველმა დიარამ თანაფარდობა აღადგინა. შემდგომში „სპარტაკმა" ხელთ იგდო ინიციატივა და გაიმარჯვა — 4:2.

**ფრესნო** (კალიფორნიის შტატი), 28 ნოემბერი. ერევნის „არარატმა" ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისი ტურნე აქ გამოსვლით დაიწყო — შეხვდა მექსიკის გუნდ „ხალისკოს", რომელსაც ეროვნულ ჩემპიონატში V ადგილი უკავია.

შეხვედრის ერთადერთი ბურთი 70-ე წუთზე გაიტანა ერევნელმა ანდრეასიანმა.

## ფეხბურთი

### ჩემპიონატები, თასები, ტურნირები

#### საფრანგეთი

ეროვნული პირველობის XVII ტურში გათამაშების ლიდერმა „ბასტიამ" სტუმრად ფრედ (0:0) ითამაშა „რედ სტართან", ხოლო მისმა უახლოესმა მეტოქემ „სენტ-ეტიენმა" შინ სძლია „პარი-სენ-ჟერმენს" (3:2) და ლიდერობა იგდო ხელთ.

„რეიმსმა" შინ ფრედ დაამთავრა შეხვედრა „ნიცასთან" — 1:1. ლილის „ოლიმპიკმა" თავის სტადიონზე ანგარიშით 4:0 მოუგო „მეცს", ხოლო მისმა მარსელელმა თანაკლუბელკამა ნანტში წააგეს ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდთან — 0:2.

XVIII ტურში „სენტ-ეტიენმა" ისევ გაიმარჯვა: ამჯერად მარსელში მოუგო ადგილობრივ „ოლიმპიკს" — 2:1. ასეთივე ანგარიშით გაიმარჯვა „ბასტიამ", რომელმაც თავის მინდორზე სძლია „სტრასბურგს". III ადგილზე მყოფმა „რეიმსმაც" ასეთი ანგარიშით მოიგო — შინ დაამარცხა „ანჟე". „რენმ" მოუგო ლილის „ოლიმპიკს" (3:0), ხოლო „ლენმა" და „ნანტმა" ფრედ ითამაშეს — 2:2.

ლიდერთა სამეული ასეთია:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „სენტ-ეტიენი" | 18 | 31:18 | 25 |
| „ბასტია" | 18 | 28:15 | 25 |
| „რეიმსი" | 18 | 33:25 | 24 |

#### პორტუგალია

გათამაშების მორიგ ტურში ლიდერებმა გამარჯვებები მოიპოვეს: ლისაბონის „ბენფიკამ" სტუმრად სძლია კუფ-ს (1:0), ხოლო „პორტუმ" თავის სტადიონზე გაანადგურა ლისაბონის „ატლეტიკო" — 5:0. დაძაბული იყო ორი „ვიტორიის", გიმარაიშისა და სეტუბალის გუნდების შეხვედრა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა, გიმარაიშელმა ფეხბურთელებმა — 3:2.

„პორტუსა" და „ბენფიკას" 16-16 ქულა აქვთ. მათ ქულით ჩამორჩება გიმარაიშის „ვიტორია". IV ადგილზეა ლისაბონის „სპორტინგი" — 13 ქულა.

#### იტალია

სანამ ტურინის „იუვენტუსი" უეფა-ს თასის გათამაშების მატჩს მოუგებდა ამსტერდამის „აიაქსს", მან თავის ჩემპიონატშიც გაიმარჯვა და ლიდერის პოზიცია განიმტკიცა: VII ტურში შინ სძლია „რომას" — 1:0. რომის „ლაციომ" ასევე შინ ამავე ანგარიშით დაამარცხა „კალიარი", ხოლო „ტორინომ" სტუმრად მოუგო „ბოლონიას" — 3:1. „მილანმა" შინ მიიღო „ასკოლი" და გაიმარჯვა — 2:0. „სამპდორიამ" და მილანის „ინტერნაციონალემ" ფრედ ითამაშეს — 1:1.

ლიდერები:

| | | | |
|---|---|---|---|
| „იუვენტუსი" (ტურინი) | 7 | 12:4 | 11 |
| „ლაციო" | 7 | 11:6 | 10 |
| „ტორინო" | 7 | 10:6 | 10 |

(საქ. ინფ.).

## სანამ არ გამოჩნდება...

მსოფლიო ჩემპიონმა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მუჰამედ ალიმ დაასახელა ის ხუთი მოკრივე, რომლებსაც, მისი აზრით, შესწევთ ძალა ასე თუ ისე წინააღმდეგობა გაუწიონ მას და ტიტულს შეეცილონ. ესენი არიან: ამერიკელები ჯორჯ ფორმენი, ჯო ფრეზიერი, რონ ლაილი და ჰენრი კლარკი, აგრეთვე, ევროპის ჩემპიონი, ინგლისელი ჯო ბაგნერი.

ალიმ თქვა, რინგს მანამდე არ დავტოვებ, სანამ არ გამოჩნდება ვინმე იმდენად ძლიერი, რომ ჩემი დამარცხება შეძლოსო.

(საქ. ინფ.).

## ა. ცანავა



ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი კრივში, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ქუთაისის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ექიმი-ორდინატორი, ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი ალექსანდრე (გულო) ივანეს ძე ცანავა.

ა. ცანავა დაიბადა 1920 წელს ქუთაისში. ამ ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1946 წელს.

კრივში მეცადინეობა ა. ცანავამ 1940 წლიდან დაიწყო. 1946-49 წლებში საქართველოს ჩემპიონი იყო ამ სახეობაში.

1947 წლიდან იგი ავარჯიშებდა ქუთაისის „სპარტაკის" მოკრივეებს, რომლებმაც არაერთხელ ისახელეს თავი რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში. ამ ხნის განმავლობაში ა. ცანავამ ბევრი სპორტის ოსტატი მოამზადა. მაგალითად, მან დააოსტატა მ. სვანიძე, რ. თოფურია, ა. ნიკოლაძე და სხვები, რომლებიც სხვადასხვა დროს „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ასპარეზობათა პრიზიორები იყვნენ. მაღალთანრიგოსან მოკრივეთა მომზადებისთვის ა. ცანავას ბევრჯერ მიუღია „სპარტაკის" რესპუბლიკური და ცენტრალური საბჭოების სიგელები და ჯილდოები.

დიდია ა. ცანავას დამსახურება საქართველოში კრივის განვითარებაში. პროფესიით ექიმი, იგი კარგად უთავსებდა ერთმანეთს ორ საყვარელ საქმეს: მუშაობდა ქირურგად და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყო „სპარტაკის" მწვრთნელი.

ა. ცანავა არჩეული იყო ქუთაისის სპორტკავშირის პლენუმისა და კრივის ფედერაციის წევრად. მასვე მინდობილი ჰქონდა კრივის საქალაქო სექციის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარეობა.

ა. ცანავა იყო სკკპ წევრი 1965 წლიდან.

კეთილსინდისიერი მოქალაქე, გულისხმიერი მეგობარი, კარგი პედაგოგი და ქირურგი — ასეთი დარჩება ა. ცანავა მისი ახლობლებისა და ნაცნობების ხსოვნაში.

საქართველოს კრივის ფედერაცია;
ქუთაისის სპორტკომიტეტი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს და თბილისის სპორტკომიტეტები, მთამსვლელთა რესპუბლიკური ფედერაცია, საქართველოს ალექსანდრე ჯაფარიძის სახელობის ალპიური კლუბი და გაზეთ „ლელოს" რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მთამსვლელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე

**ალექსანდრა ბიჭიას ასული ჯაფარიძე.**

პანაშვიდი 30 XI, 19 ს. განსვენებულის ბინაში — ჩელიუსკინელების ქ. № 17. გამოსვენება 1 XII, 15 ს. საქართველოს ალპიური კლუბის შენობიდან.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02873